საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-961

07/10/2019

ქ. თბილისი

სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზანაში ფ/პ როინ რეკვავას ხეხილის ბაღის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ როინ რეკვავას მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზანაში ხეხილის ბაღის სარწყავის (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ხეხილის ბაღი მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზანაში ფ/პ როინ რეკვავას საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ნაკვეთის ფართობი შეადგენს 50 700 $მ^2$ (საკადასტრო კოდი: 44.10.22.174), ხოლო ხეხილის ბაღის გაშენებულია 50 000 $მ^2$ ფართობზე. ტერიტორია უახლოესი საცხოვრებელი პუნქტიდან დაშორებულია 100 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ფ/პ როინ რეკვავას, ხეხილის ბაღის წყალმომარაგების მიზნით, დაგეგმილი აქვს წყლის აღება მდ. ზანადან.

სარწყავი სისტემის სიგრძე იქნება 1100 მეტრი. პოლიეთილენის მილების დიამეტრი შეადგენს 75 მმ. მდ. ზანადან აღებული წყალი ამავე პოლიეთილენის მილით მიეწოდება 10 ტ. ტევადობის წყლის რეზერვუარს, საიდანაც მოხდება მცენარეების მორწყვა. ხეხილის ბაღის მოსარწყავად ერთი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 10 000 $მ^3$ წყლის გამოყენება. (მდ. ზანადან წყალაღების GPS კოორდინატებია X- 260825; Y-4700165;).

სარწყავი მილის მოწყობის დროს დაგეგმილია 1 ცალი 15 $მ^3$/სთ წარმადობის ტუმბოს მონტაჟი, რომელიც იმუშავებს ელექტროენერგიაზე და წელიწადში მოიხმარს საშუალოდ 10 000 კილოვატ ელექტროენერგიას.

სარწყავი მილი განთავსება ტრანშეაში, რომელშიც ჩაიდება 75 მმ მილი და მისი დაფარვა მოხდება სამუშაოებისას ამოღებული გრუნტით. მილის განთავსების ტერიტორია განეკუთვნება ადგილობრივ თვითმართველობას და სამუშაოების დაწყებამდე შეთანხმება მოხდება მუნიციპალიტეტთან.

სარწყავი სისტემის მოწყობის დროს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

საპროექტო არეალის მდებარეობიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ექსპლუატაციის ეტაპზე, შესაძლო ხმაურის წყაროს წარმოადგენს წყლის ტუმბო, რომლის განთავსების და სიმძლავრის გათვალისწინებით მისი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისგან და შესაბამისად ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე მილის პარამეტრების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

სარწყავი სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი არ არის.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკი არ არსებობს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ აღინიშნება.

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზანაში ფ/პ როინ რეკვავას ხეხილის ბაღის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ როინ რეკვავა ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ როინ რეკვავას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ როინ რეკვავას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სენაკის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი